



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “შპს “იზა” და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 28537/02)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2005 წლის 27 სექტემბერი

საბოლოო გახდა
27/12/2005

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას.

საქმეში შპს „იზა“ და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ჟ.-პ. კოსტა, თავმჯდომარე,
ი. კაბრალ ბარეტო,
კ. იუნგვიერტი,
ვ. ბუტკევიჩი,
მ. უგრეხელიძე,
ა. მულარონი,
ე. ფურა-სანდსტრომი, მოსამართლეები,
და *ს. დოლე*, სექციის განმწესრიგებელი,
განიხილა რა საქმე 2005 წ. 6 სექტემბრის დახურულ სხდომაზე, გამოიტანა
შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№ 28537/02), რომელიც სასამართლოში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ, 2002 წ. 30 მაისს წარადგინეს შპს „იზამ“ („მომჩივანი კომპანია“) და საქართველოს მოქალაქემ, *ბ-ნმა ნოდარ მაკრახიძემ* („მეორე მომჩივანი“).

2. მომჩივნებს სასამართლოში წარმოადგენდა *ბ-ნი ვლადიმერ კაკაბაძე*, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა *ქ-ნი თინა ბურჯალიანი*, რომელიც შემდგომში შეცვალა *ქ-მა ეკატერინე გურეშიძემ*, სასამართლოში საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა.

3. 2004 წ. 6 თებერვალს, სასამართლომ, კონვენციის მე-6 მუხლის (§1) და მე-13, აგრეთვე I დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების შესაბამისად, გადაწყვიტა საჩივარის მოპასუხე მთავრობისათვის შეტყობინება. იმავე დღეს, კონვენციის 29§3 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ გადაწყვიტა საჩივარის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა.

4. საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით, მომჩივნებმა და მთავრობამ საკუთარი მიმოხილვები წარმოადგინეს (რეგლამენტის მუხლი 54 „ა“).

ფაქტები

5. კასპის რაიონული სასამართლოს 1995 წ. 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მომჩივანი კომპანია დარეგისტრირდა, როგორც შპს. მეორე მომჩივანი დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს თბილისში.

I. საქმის გარემოებები

6. 1998 წ. 23 ივლისს, მეორე მომჩივანმა, როგორც სამშენებლო კომპანია შპს „იზას“ დამფუძნებელმა და დირექტორმა, საჯარო სკოლასთან გააფორმა ხელშეკრულება რემონტის ჩატარების თაობაზე. ხელშეკრულება უზრუნველყოფდა განათლების სამინისტროს ბიუჯეტიდან 117.514 ლარის (53.892,50 ევრო)¹ გადარიცხვას მომჩივანი კომპანიის ანგარიშზე. სანაცვლოდ, მომჩივანი კომპანია ვალდებულებას იღებდა, ჩატარებინა სკოლის რემონტი.

7. მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლის აგვისტოსთვის, მომჩივან კომპანიას უკვე ჰქონდა შესრულებული 13.000 ლარის (5.965 ევრო)¹ ღირებულების სარემონტო სამუშაოების ნაწილი, განათლების სამინისტრომ მის ანგარიშზე მხოლოდ 5.800 ლარი (2.661 ევრო)¹ გადარიცხა.

8. საგადასახადო სამსახურებმა, მომჩივანი კომპანიისა და პირადად მეორე მომჩივანის წინააღმდეგ, აღძრეს საქმე 30.735 ლარის (14.104 ევრო)¹ ოდენობით გადასახადის გადახდის მოთხოვნით. მომჩივანთა მტკიცებით, აღნიშნული ოდენობა დაანგარიშებული იყო 1998 წ. 23 ივლისის კონტრაქტით გათვალისწინებული მთლიანი თანხის ოდენობის საფუძველზე, მაშინ როდესაც რეალურად, მომჩივანმა კომპანიამ მხოლოდ ანაზღაურების ნაწილი მიიღო.

9. 2001 წ. 23 იანვარს, კასპის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საგადასახადო ორგანოების მოთხოვნა. არ დააკმაყოფილა რა მოთხოვნა მომჩივანი კომპანიისთვის 26.388 ლარის (12.106 ევრო)¹ ოდენობის გადასახადის დაკისრებაზე, როგორც დაუსაბუთებელი, რაიონულმა სასამართლომ, მეორე მომჩივანის მიერ ჯერ კიდევ 1998 წ. 22 აპრილისთვის (განათლების სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებამდე კარგა ხნით ადრე) სახელმწიფო ბიუჯეტისადმი არსებული დავალიანების აღიარების გათვალისწინებით, პირადად მეორე მომჩივანს დაავალა, გადაეხადა დამატებითი ღირებულების გადასახადის („დღგ“) დავალიანება 4.347 ლარის (1.994 ევრო)¹ ოდენობით.

10. იმის გამო, რომ განათლების სამინისტროს არ გადაუხდია დარჩენილი თანხა 1998 წ. 23 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისთვის, ხოლო მეორე მომჩივანის საგადასახადო დავალიანება გადაუხდელი რჩებოდა, მომჩივანის მტკიცებით, მომჩივან კომპანიას სამეწარმეო საქმიანობის გაგრძელების საშუალება აღარ ჰქონდა.

¹ 2005 წ. 23 ივნისის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

11. მომჩივანმა კომპანიამ, რომელიც წარმოდგენილია მეორე მომჩივნის მიერ, სარჩელი შეიტანა განათლების სამინისტროს წინააღმდეგ შესრულებული სამუშაოსათვის დარჩენილი თანხის 7.200 ლარისა (3.304 ევრო)¹ და ასევე მეორე მომჩივნის საგადასახადო დავალიანების 4.347 ლარის (1.994 ევრო)¹ გადახდის მოთხოვნით, ვინაიდან სამინისტრომ ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილებით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა მომჩივანი კომპანიის მოთხოვნები.

12. 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და 2001 წ. 14 ივნისს, ის ძალაში შევიდა. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2001 წ. 2 ივლისს, რაიონულმა სასამართლომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც განათლების სამინისტრო ვალდებული იყო, მომჩივანი კომპანიისთვის გადაეხადა 11.628 ლარი (5.332 ევრო)², მაგრამ ბრძანება არ აღსრულებულა.

13. 2002 წ. 19 აპრილს, მეორე მომჩივანმა, კვლავ მომჩივანი კომპანიის სახელით, მიმართა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს და მისგან 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილების აღსრულება მოითხოვა. პასუხად, 2002 წ. 13 მაისს, სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსმა მას განუმარტა, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულებათა წინააღმდეგ გამოტანილ გადაწყვეტილებათა აღსრულება სააღსრულებო ორგანოებისათვის კვლავაც ერთ-ერთ ურთულეს საკითხად რჩებოდა. მომჩივნისათვის არ მიუციათ რაიმე ინფორმაცია იმის თაობაზე თუ კონკრეტულად როდის იქნებოდა მოსალოდნელი გადაწყვეტილების აღსრულება.

14. 2002 წ. 29 ოქტომბერს, მეორე მომჩივანმა კვლავ მიმართა იუსტიციის სამინისტროს, ამჯერად პირადად იუსტიციის მინისტრს და გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება მოითხოვა. ეს მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა.

15. იმავე დღეს, 2002 წ. 29 ოქტომბერს, მეორე მომჩივანმა სისხლის სამართლის კოდექსის („სსკ“) 381-ე მუხლის საფუძველზე, გენერალურ პროკურატურას მიმართა ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით, თუმცა, 2002 წ. 27 დეკემბერს, მას აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა; გენერალურმა პროკურატურამ მთავრობის - განათლების, ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების მხრიდან რაიმე სახის განზრახ საზიანო ქმედება ვერ აღმოაჩინა, განმარტა რა, რომ დაგვიანება ობიექტური მიზეზით იყო განპირობებული, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების ნაკლებობით. შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვერავის დაეკისრებოდა.

16. 2002 წ. 10 ნოემბრის №35 შეტყობინების საფუძველზე, კასპის რაიონულმა საგადასახადო სამსახურმა მომჩივან კომპანიას დააკისრა ჯარიმა 74.500 ლარის (34.174 ევრო)² ოდენობის დაუფარავი საგადასახადო დავალიანების გამო

² 2005 წ. 23 ივნისის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

დაგროვილი გადასახადის სახით, თუმცა, მომჩივანი კომპანიის სასამართლო დავის გამო, კასპის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული შეტყობინება ბათილად ცნო. ეს გადაწყვეტილება 2003 წ. 5 მაისს, ძალაში დატოვა თბილისის საოლქო სასამართლომ. შეტყობინების გაბათილებასთან ერთად, სასამართლომ საგადასახადო სამსახურს დაავალა, ფაქტების საფუძველიანი გადახედვისა და ხელახალი შეფასების შემდეგ, მიეღო ახალი ადმინისტრაციული აქტი.

17. 2004 წ. 24 აგვისტოს, გორის რეგიონული საგადასახადო ორგანოების მიერ გაიცა ახალი შეტყობინება, რომლითაც მომჩივან კომპანიას, მეორე მომჩივნის ზემოთ აღნიშნული დღგ-ს დავალიანების გამო, ეკისრებოდა ჯარიმა 17.061 ლარის (7.825,81 ევრო)² ოდენობით. ეს შეტყობინება მომჩივანთა მიერ არ გასაჩივრებულა და დღემდე ძალაშია.

18. ამავე დროს, მეორე მომჩივნის საგადასახადო დავალიანება შეადგენს 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილებით აღიარებული დავალიანების ნაწილს, რომელიც სახელმწიფოს უკვე ოთხ წელზე მეტია, არ გადაუხდია.

19. 2004 წ. 2 ივლისს, მთავრობამ მიიღო განკარგულება გადაუხდელი დავალიანებების ეტაპობრივი გადახდის მექანიზმის დანერგვის თაობაზე (იხ. ქვემოთ, §26).

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

20. სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 411 _ „ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის“

„ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო.“

მუხლი 412 _ „ზიანი, რომელზედაც ვრცელდება ანაზღაურების მოვალეობა“

„ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მუხლი 255§1

„...სახელმწიფო ორგანოების, თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოქმედებებისა გადაწყვეტილებების არაკანონიერად ცნობის შესახებ საჩივარის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო ასეთ მოქმედებას ან გადაწყვეტილებას აღიარებს არაკანონიერად, ავალებს შესაბამის ორგანოსა თუ თანამდებობის პირს, დააკმაყოფილოს მოქალაქის მოთხოვნა, აუქმებს მის მიმართ გამოყენებული პასუხისმგებლობის ღონისძიებას ან სხვა გზით აღადგენს მის დარღვეულ თუ სადავო უფლებასა და თავისუფლებას.“

*22. მოცემულ პერიოდში მოქმედი მიღებული 1999 წ. 16 აპრილის კანონი
“სააღსრულებო წარმოებათა შესახებ”*

მუხლი 5§1

“ამ კანონით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს აღსრულებენ სასამართლო აღმასრულებლები, რომელთა სამუშაო ადგილია [იუსტიციის სამინისტროს] სააღსრულებო ბიურო “.

მუხლი 17 §§1 და 9

„სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა. სასამართლო აღმასრულებელს მისი ქვემდებარე სააღსრულებო საქმის წარმოებისას უფლება აქვს სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს სხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზედაც.

სასამართლო აღმასრულებელმა აღსრულების ან ნაწილობრივი აღსრულების შეფერხებისას და ნებისმიერი ისეთი გარემოების წარმოშობისას, რომელიც ხელს უშლის მის დაქვემდებარებაში მყოფი საქმის სათანადო აღსრულებას, საკითხის გადაწყვეტის მოთხოვნით უნდა მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს. სააღსრულებო ბიუროს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული ყველა უთანხმოება უნდა გადაწყდეს სასამართლო გზით.“

მუხლი 92§1 (2000 წ. 12 მაისის შესწორებით)

„საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ იძულებითი აღსრულება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ სამი თვის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა კრედიტორმა თავისი განზრახვა სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე განუცხადა მოვალეს...“

კანონი არ აკონკრეტებს არც იძულებითი აღსრულების შესაძლო ზომებს, არც სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, რომელიც მხარის მიერ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი ზომები არ იქნა მიღებული აღმასრულებლის მიერ.

23. სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა წარმოადგენს დანაშაულს:

„ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლა ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებლის მიერ [ისჯება] ...“

24. 1994 წ. 28 ოქტომბრის კანონი „მეწარმეთა შესახებ“

მუხლი 9§4

„...[შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში] ... კომპანიას მესამე მხარესთან ურთიერთობაში წარმოადგენს დირექტორი...“

25. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი

მუხლი 60§7

„ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი, აუქმებს მისი ძალაში შესვლით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგებს.“

26. მთავრობის 2004 წ. 2 ივლისის №62 განკარგულება საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების გადახდის თაობაზე.

ამ განკარგულების მიღებით, მთავრობამ გადაუხდელი ვალების ეტაპობრივი გადახდის მექანიზმი დანერგა. ამ დოკუმენტის მე-2 პარაგრაფის მიხედვით იუსტიციის სამინისტროს დაევალა, პრიორიტეტულად ეცნო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა აღსრულება, რომლებიც ეხებოდა (I) სხეულის დაზიანებით ან სიკვდილით გამოწვეული ზიანისათვის კომპენსაციის გადახდას; (II) მუშებისათვის არაუმეტეს სამი თვის ხელფასის გადახდას; (III) რეაბილიტირებულ პირთათვის კომპენსაციის გადახდას. იმავდროულად იუსტიციის სამინისტროს მიეთითა, სხვა კრედიტორთა დავალიანებების თანაზომიერი გადახდაც უზრუნველყო, მაგრამ მხოლოდ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულების შემდეგ. განკარგულების მე-3 პარაგრაფის თანახმად, მოვალე სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით უნდა უზრუნველყონ კრედიტორებთან წარმოშობილ საკითხთა მეგობრული მოგვარება ან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა განსაზღვრონ გადაწყვეტილებათა აღსრულების ვადა, რადგან, თანხების უკმარისობის გამო გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ვალების ერთდროული გადახდა არ არის შესაძლებელი.

სამართალი

27. მომჩივნები ჩივიან იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ორგანოებმა ვერ აღასრულეს მათ სასარგებლოდ გამოტანილი 2001 წ. 14 მაისის სასამართლო გადაწყვეტილება. მათი მტკიცებით, დაირღვა კონვენციის მე-6§1 და მე-13 მუხლები და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, რომლებიც შემდეგი შინაარსისაა:

მუხლი 6. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

“სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...“

მუხლი 13. სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება

„ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“

მუხლი 1. საკუთრების დაცვა

“ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, ზემოაღნიშნული დებულებები არანაირად არ აკნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად...”

I. დასაშვებობა

1. მეორე მომჩივანთან მიმართებით

28. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 34-ე მუხლში აღნიშნული ცნება „მსხვერპლი“ აღნიშნავს პირს, რომელსაც უშუალოდ მიაღება ზიანი სადავო ქმედებით ან უმოქმედობით (სხვა პრეცედენტთა შორის, იხ. ვატანი რუსეთის წინააღმდეგ, №47978/99, §48, 2004 წ. 7 ოქტომბერი).

29. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს განათლების სამინისტროსთან ხელშეკრულება გააფორმა მომჩივანმა კომპანიამ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ. ის მოქმედებდა მეორე მომჩივნის, მისი დირექტორის, მეშვეობით, რომელიც წარმოადგენდა კომპანიას მესამე მხარეებთან და ეროვნულ სასამართლოებთან ურთიერთობაში. 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მომჩივანი კომპანიის და არა მეორე მომჩივნის სასარგებლოდ (იხ. ზემოთ, §§ 11 და 12). შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების აღუსრულებლობამ პირდაპირი ზიანი მიაყენა მომჩივანი კომპანიის ინტერესებს. ამას გარდა, მეორე მომჩივანს არ გამოუთქვამს პრეტენზია მისი, როგორც მომჩივანი კომპანიის დირექტორისთვის მინიჭებული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით (*a contrario*, იხ. *აგროტექსიმი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*, 1995 წ. 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა №330-ა, §§62-72). მისი საჩივარი ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომელიც „მისი“ კომპანიის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. მეტიც, საქმეში

არაფერია ისეთი, რაც იმაზე მიაჩნებდა, რომ მეორე მომჩივანი, შესაძლოა, ამტკიცებდეს, რომ წარმოადგენს არაპირდაპირ მსხვერპლს კონვენციის იმ ნაწილის დარღვევის შედეგად, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უფლებებს ლახავს (*a contrario* იხ., გ. ჯ. ლუქსემბურგის წინააღმდეგ, № 21156/93, §24, 2000 წ. 26 ოქტომბერი; იხ. ზემოთ ვატანის საქმე, §§ 49-50).

30. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ საჩივარი, იმ ნაწილში, რომელიც მეორე მომჩივანს ეხება, *ratione personae* არ შეესაბამება კონვენციის 35-ე მუხლის (§3) დებულებებს და დაუშვებლად უნდა გამოცხადდეს კონვენციის 35-ე მუხლის (§4) შესაბამისად.

2. მომჩივან კომპანიასთან მიმართებით

(ა) პრეტენზია მე-6 მუხლის (§1) დარღვევის თაობაზე

31. მთავრობამ საჩივარა, რომ მომჩივანმა არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, რადგან მან არ სცადა სასამართლო წარმოების განახლება და გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო შესაბამისი ორგანოების უმოქმედობის გასაჩივრების მიზნით.

32. მომჩივანმა კომპანიამ უპასუხა, რომ სააღსრულებლო ორგანოების წინააღმდეგ სასამართლო წარმოების დაწყება სამართლებრივი მიმართვის ეფექტიან საშუალებას არ წარმოადგენდა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლო გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობის პრაქტიკას „ღრმად აქვს ფესვები გადგმული“. ამ არგუმენტის საბუთად, მომჩივანმა კომპანიამ წარმოადგინა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსის 2002 წ. 13 მაისის წერილი, რომლის მიხედვითაც: „გადაწყვეტილებათა აღსრულება სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულებათა წინააღმდეგ სააღსრულებო ორგანოებისათვის კვლავაც ერთ-ერთ ურთულეს ამოცანად რჩება“.

33. მომჩივანმა კომპანიამ ასევე საჩივარა, რომ სასამართლო წარმოების დაწყება სააღსრულებო ორგანოების წინააღმდეგ არაადეკვატური ზომა იქნებოდა.

34. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის §1-ის მიზანია, მაღალ ხელშემკვრელ მხერებს მისცეს საშუალება, აღმოფხვრან ან მოაგვარონ მათ წინააღმდეგ გასაჩივრებული დარღვევები მანამ, სანამ ისინი ევროპულ სასამართლოს წარედგინება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ეფექტიანი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვაა სავალდებულო. მთავრობა, რომელიც აცხადებს, რომ მხარემ არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, ვალდებულია, სასამართლოს დაუსაბუთოს, რომ მიმართვის საშუალება ეფექტიანი იყო, მისი გამოყენება შესაძლებელი იყო თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, შესაბამის დროს (იხ. რომაშოვი უკრაინის წინააღმდეგ, №67534/01, §30, 2004 წ. 27 ივლისი).

35. წინამდებარე საქმეში არსებული, ისევე როგორც მოპასუხე სახელმწიფოთა წინააღმდეგ აღძრულ მსგავს საქმეებში დადასტურებული ფაქტები (იხ., მაგალითად, შპს “ამატ.ჯი” და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №2507/03, §§6-22, 2005 წ. 27 სექტემბერი), იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ სახელმწიფო საბიუჯეტო დაწესებულებათა წინააღმდეგ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა მუდმივი პრობლემაა. ამ პრობლემას ადგილობრივი ორგანოები ხშირად ღიად აღიარებენ (იხ. ზემოთ §§ 13 და 15, §§46 და 56 ზემოთ ციტირებული საქმიდან შპს “ამატ.ჯი” და მებალიშვილი). მთავრობის №62 განკარგულების მიღება (იხ. ზემოთ, §26) კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ გადაწყვეტილებით აღიარებული ვალების გადაუხდელობა მოპასუხე სახელმწიფოს ერთ-ერთი საზრუნავია.

36. სასამართლო მიუთითებს, რომ მეორე მომჩივანმა მიმართა გენერალურ პროკურატურას და ძალაში შესული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. მომჩივანს 2002 წ. 27 დეკემბერს აღნიშნულ თხოვნაზე უარი ეთქვა. გენერალური პროკურატურის განმარტებით, გადასახდელი თანხის დაფარვის დაგვიანებისთვის ობიექტური მიზეზი არსებობდა, კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების უკმარისობა (იხ. §15 ზემოთ). ფაქტობრივად, აღნიშნულ შემთხვევაში მოვალე სახელმწიფო ორგანიზაციაა, ხოლო მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ხარჯების გამოყოფის გათვალისწინებაზე დამოკიდებული (იხ. ზემოთ §26). ამდენად, 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილების აღსრულება დამოკიდებული იყო სათანადო საბიუჯეტო ღონისძიებებზე და არა სააღსრულებო ორგანოების ქცევაზე (*რომაშოვის* საქმე, იხ. ზემოთ, §31). ამდენად, მომჩივანი კომპანია არ შეიძლება დადანაშაულებულ იქნას იმაში, რომ მან ამ ორგანოების წინააღმდეგ შემდგომ სასამართლო წარმოებას არ მიმართა (*Shestakov v. Russia* (dec.), no.48757/99, 18 June 2002; *Voytenko v. Ukraine*, no.18966/02, §30, 29 June 2004).

37. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანი კომპანია ვალდებული არ იყო, მიემართა სასამართლო დაცვის საშუალებებისათვის, რისკენაც მას მთავრობა მოუწოდებდა, მაშასადამე, კომპანია 35-ე მუხლის (§1) მოთხოვნების დაცვით მოქმედებდა. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის არგუმენტს. ამდენად, მომჩივანი კომპანიის პრეტენზია მე-6 (§1) მუხლთან მიმართებაში დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

(ბ) პრეტენზიები კონვენციის მე-13 მუხლისა და № 1 ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის თაობაზე

38. პირველ რიგში, სასამართლო შეახსენებს, რომ №1 დამატებითი ოქმი საქართველოსთან მიმართებაში ძალაში შევიდა 2002 წ. 7 ივნისს. ამდენად, მომჩივანი კომპანიის მიერ, ამ ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია, რომელიც 2002 წ. 7 ივნისამდე პერიოდს ეხება, სასამართლოს იურისდიქციის *ratione temporis* ფარგლებს გარეთ ხვდება (იხ. სხვა პრეცედენტთა შორის, *Sovtransavto Holding v. Ukraine*, no 48553/99, § 56, CEDH 2002-VII).

39. შემდეგ, სასამართლო მიუთითებს კონვენციის მე-6 მუხლის §1-ის განმარტებაზე 35§1 მუხლთან მიმართებით (იხ. ზემოთ §§ 34-37), რაც სრულად შეესაბამება მომჩივანი კომპანიის მიერ, კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიასა და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის დანარჩენ ნაწილს. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის 35§3 მუხლის შინაარსის ფარგლებში საჩივარი ამ ნაწილში ამკარად დაუსაბუთებელი არ არის, არ არსებობს არც სხვა რაიმე საფუძველი მისი დაუშვებლად გამოცხადებისათვის. ამდენად, ის დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

II. არსებითი მხარე

1. კონვენციის მე-6 მუხლის (§1) სავარაუდო დარღვევა გადაწყვეტილების აღუსრულებლობასთან მიმართებით

40. კონვენციის მე-6 მუხლის (§1) საფუძველზე, მომჩივანმა კომპანიამ გაასაჩივრა სახელმწიფო ორგანოების მიერ 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილების აღუსრულებლობა.

41. მთავრობას ამ საკითხზე არ უპასუხია.

42. სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §34, ECHR 2002-III; *Hornsby v. Greece*, judgment of 19 March 1997, *Reports of Judgments and Decisions* 1997-II, p. 510, §40). მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით, საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გამართლებული იყოს განსაკუთრებული

გარემოებების შემთხვევაში (*Prodan v. Moldova*, no. 49806/99, § 53, ECHR 2004-... (ამონარიდები)).

43. მოცემულ შემთხვევაში მთავრობას არ მიუთითებია რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც გაამართლებდა სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობას (cf. *Immobiliare Saffi v. Italy* [GC], no. 22774/93, §§ 69-74, ECHR 1999-V). სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივან კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

44. ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობის გამო, საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) მოთხოვნები ყოველგვარი სასარგებლო ეფექტის გარეშე დატოვეს.

45. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას.

2. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

46. მომჩივანმა კომპანიამ წამოაყენა პრეტენზია კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე და საჩივარა, რომ მას არ მიენიჭა სამართლებრივი დაცვის რაიმე ეფექტიანი საშუალება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განსახორციელებლად.

47. მთავრობას ამ საკითხზე არ უპასუხია.

48. სასამართლო მიუთითებს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვასთან დაკავშირებით, 34-37 პარაგრაფებში მის მიერ, გამოთქმულ მოსაზრებებზე. იმავე საფუძველზე, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივან კომპანიას არ ჰქონია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება, როგორც ამას კონვენციის მე-13 მუხლი ითხოვს, იმ ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც მას სასამართლო წარმოების შეფერხების გამო მიადგა (*კოიტენკოს* საქმე, იხ. ზემოთ, §§ 46-48).

49. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა აღნიშნული დებულების მუხლის დარღვევას.

3. №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

50. მომჩივანმა კომპანია ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მას არ მიუღია ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული თანხა და მიუთითა №1 ოქმის 1-ლ მუხლზე.

51. მთავრობას ამ საკითხზე არ უპასუხია.

52. სასამართლო, პრეცედენტულ სამართალზე მითითებით აღნიშნავს, რომ მომჩივნის მიმართ მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა წარმოადგენს საკუთრებით მშვიდობიანად სარგებლობის უფლებაში ჩარევას, როგორც ეს №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველ წინადადებაშია ჩამოყალიბებული (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. ზემოხსენებული *Burdov*, § 40; *Bakalov v. Ukraine*, no. 14201/02, § 39, 30 November 2004).

53. სასამართლოს აზრით, წინამდებარე საქმეში, მომჩივანი კომპანიისათვის 2002 წ. 7 ივნისიდან დღემდე (იხ. ზემოთ §38) მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა წარმოადგენდა საკუთრების მშვიდობიანი სარგებლობის უფლებაში ჩარევას, რაზეც მიუთითებს №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის პირველი აბზაცი. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი ამ ჩარევის გასამართლებლად.

54. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ასევე ადგილი ჰქონდა №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

55. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს”.

ა. ზიანი

56. სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს რეგლამენტის მე-60 მუხლის საფუძველზე, აუცილებელია სამართლიანი დაკმაყოფილების ნებისმიერი მოთხოვნის დეტალიზება და წერილობით წარმოდგენა შესაბამისი დამამტკიცებელი დოკუმენტებისა და ფაქტობრივი მასალის თანხლებით, აღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში კი სასამართლომ, შესაძლოა, ნაწილობრივ ანსრულად უარყოს მოთხოვნა (იხ. ზემოთ რომაშოვის საქმე, §49).

57. მოცემულ საქმეში, მომჩივანმა კომპანიამ, 2004 წ. 7 ივნისს სასამართლოს წარუდგინა სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით 223.500 ლარი (102.034 ევრო)³ მოითხოვა. ამ თანხიდან 11.628 ლარი (5.332 ევრო)³ შეესაბამებოდა 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილებაში აღნიშნულ

³ 2004 წ. 23 ივნისის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ძირითად თანხას, ხოლო დანარჩენი წარმოადგენდა 4.347 ლარის (1.994 ევრო)³ ოდენობით დაგროვილი დღგ-ის დავალიანების ჯარიმებს, რაც, იმავდროულად, აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი ვალის ნაწილიცაა. მომჩივანი კომპანია ირწმუნებოდა, რომ ევროსასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროისთვის, მასზე დაკისრებული საგადასახადო ჯარიმების ოდენობა 223.500 ლარს მიაღწევდა. მოთხოვნის ამ ნაწილის საბუთად, მომჩივანმა 2002 წ. 10 ნოემბერსა და 2004 წ. 24 აგვისტოს, საგადასახადო ორგანოების მიერ მისთვის გაგზავნილი დოკუმენტები წარმოადგინა (იხ. ზემოთ, §§ 16 და 17).

58. რაც შეეხება დამატებით განცდილ მატერიალურ ზიანს, მომჩივანმა კომპანიამ მოგების დანაკარგის ასანაზღაურებლად, რაც მას გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო მიადგა, მოითხოვა 20.000 ევრო. ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად მას რაიმე დამატებითი დოკუმენტი არ წარმოუდგენია.

59. მომჩივანმა კომპანიამ მოითხოვა 10.000 ევრო მორალური ზიანისთვის, რომელიც მან ოფიციალური ორგანოების მხრიდან გადაწყვეტილების აღუსრულებლობის გამო განიცადა.

60. მთავრობამ მომჩივანი კომპანიის მოთხოვნები გადაჭარბებულად და დაუსაბუთებლად მიიჩნია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მან უკვე მოახერხა საგადასახადო ორგანოების 2002 წ. 10 ნოემბერის შეტყობინების გაბათილება (იხ. ზემოთ §16), მთავრობამ არ გაიზიარა ის მოსაზრება, რომ მომჩივან კომპანიას 223.500 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა არ შეეძლო. საგადასახადო ორგანოების 2004 წ. 24 აგვისტოს შეტყობინებასთან დაკავშირებით კი მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივან კომპანიას საქმე ეროვნულ სასამართლოებში არ გაუსაჩივრებია.

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ 2001 წ. 14 მაისის გადაწყვეტილება ჯერ არ აღსრულებულა. რაკი მთავრობამ ვერ უზრუნველყო ვალის გადახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და არც იმაზე მიუთითებია, რომ მისი გადახდა შესაძლებელი იქნებოდა განჭვრეტად მომავალში, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანმა კომპანიამ განიცადა გარკვეული მატერიალური ზიანი, რაც აღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილ ვალს აღემატება. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო მომჩივან კომპანიას ამ ნაწილში მიაკუთვნებს 10.000 ევროს.

62. იმ მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, რაც საგადასახადო დავალიანებაზე დაგროვილ ჯარიმებს შეეხება, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ამ ჯარიმათა მნიშვნელოვანი ნაწილი გაბათილებულ იქნა (იხ. ზემოთ §16). მეტიც, ფაქტობრივად, მომჩივან კომპანიას სახელმწიფო ბიუჯეტში არასოდეს გადაუხდია სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მოთხოვნილი საგადასახადო ჯარიმის რაიმე ნაწილიც კი. შესაბამისად, მას ამ მხრივ რაიმე ფაქტობრივი დანაკარგი არ განუცდია. ამასთან, სასამართლო ვერ ხედავს მიზეზობრივ კავშირს აღმოჩენილ დარღვევასა და მომჩივანი კომპანიის მოთხოვნას შორის მოგების დანაკარგთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ, §57), რომელიც არავითარი დოკუმენტით არ ყოფილა გამყარებული.

შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას ამ ნაწილში.

63. მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან სახელმწიფო უწყებებმა ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს მომჩივანი კომპანიის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, ამ უკანასკნელს შეექმნა პრობლემები საგადასახადო ორგანოებთან (იხ. ზემოთ §§16-18), ხოლო მისი ეკონომიკური საქმიანობა სერიოზულად დაზარალდა (იხ. ზემოთ §10). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა კომპანიამ ამ ფინანსური შედეგებისთვის უნდა მიიღოს კომპენსაცია მორალური ზიანის სახით (cf. *Sovtransavto Holding v. Ukraine* (just satisfaction), no. 48553/99, §§ 78-80, 2 October 2003; *Comingersoll v. Portugal* [GC], no. 35382/97, §§ 32-36, ECHR 2000-IV). თუმცა, მომჩივნის მოთხოვნა ამ ნაწილში გადაჭარბებული ჩანს. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო მომჩივანს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მიაკუთვნებს 1.000 ევროს.

ბ. ხარჯები

64. მომჩივანმა კომპანიამ მოითხოვა 5.000 ევრო სასამართლოში წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით. ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად, მან წარმოადგინა იურიდიული მომსახურების შეთანხმება №1, დათარიღებული 2002 წ. 20 ივნისით და იურიდიული მომსახურების შეთანხმება №2, დათარიღებული 2003 წ. 20 ივნისით. ამ დოკუმენტების მიხედვით, ბ-ნ *ვლადიმერ კაკაბაძეს* მომჩივანი კომპანიის ინტერესების სასამართლოში წარმოდგენისათვის ეძლევა ანაზღაურება 5.000 ევროს ოდენობით.

65. მთავრობა, რომელიც იურიდიული მომსახურების თანხას გაზვიადებულად თვლიდა, ამტკიცებდა, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელი იყო.

66. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მომჩივანს უფლება აქვს, მოითხოვოს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაასაბუთებს, რომ ეს ხარჯები ფაქტობრივად და უდავოდ გასწია და რომ ეს თანხა გონივრული იყო (სხვა პრეცედენტთა შორის იხ. *Nilsen and Johnsen v. Norway* [GC], no. 23118/93, §62, ECHR 1999-VIII).

67. სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების არსებობა არ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ მის საფუძველზე გადახდა ნამდვილად განხორციელდა. ამას გარდა, მომჩივანმა კომპანიამ ვერ წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნული იქნებოდა თუ რა დრო მოანდომა ადვოკატმა საქმის მომზადებასა და სასამართლოში წარდგენას. მომჩივან კომპანიას ადვოკატისაგან არც ანგარიშ-ფაქტურები წარმოუდგენია და არც სხვა რაიმე დოკუმენტი, რომელშიც დასაბუთებული იქნებოდა აღნიშნული გადასახადი.

68. წარმოდგენილი ინფორმაციისა და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე, სასამართლო მომჩივანი კომპანიის მოთხოვნას გადაჭარბებულად მიიჩნევს. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო მომჩივანს

კომპანიას მიაკუთვნებს 2.000 ევროს სასამართლოში წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით.

69. მომჩივანმა კომპანიამ ასევე მოითხოვა 100 ლარი (დაახლ. 50 ევრო) თარგმანისა და საფოსტო ხარჯებისათვის. ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები. მთავრობას მოთხოვნის ამ ნაწილში კომენტარი არ გაუკეთებია.

70. მის ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ მომჩივან კომპანიას აუნაზღაუროს თარგმანისა და საფოსტო ხარჯები 50 ევროს ოდენობით, ყველა შესაძლო გადასახადის გათვალისწინებით, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს.

გ. საურავი

71. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად,

1. აცხადებს დასაშვებად შპს „იზა“-ს მიერ, კონვენციის მე-6, მე-13 და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს იმ მოცულობით, რომლითაც ისინი 2002 წ. 7 ივნისის შემდგომ პერიოდს ეხება, ხოლო საჩივარის დანარჩენი ნაწილს აცხადებს დაუშვებლად;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევას;

3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას;

4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას;

5. ადგენს, რომ

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივან კომპანიას, კონვენციის 44-ე მუხლის (§2) შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის ვადაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

(i) 10.000 (ათი ათასი) ევრო მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით;

(ii) 1.000 (ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით;

(iii) 2.050 (ორი ათას ორმოცდაათი) ევრო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით;

(iv) აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

6. უარყოფს მომჩივანი კომპანიის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2006 წ. 27 სექტემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

ს. დოლე
განმწესრიგებელი

ჟ. პ. კოსტა
თავმჯდომარე